USAID
ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲒᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ
ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ
ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲗᲐ
ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ

თავისუფალი,სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2022-2025 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №55
აპრილი, 2024

თბილისი, 2024

ხელმძღვანელი:

ნანუკა ყრუაშვილი

ავტორი:

მათე ბუბაშვილი

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2022-2025 წლებში" იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგენთ №55 ბიულეტენს. მასში აღწერილია 2024 წლის აპრილში განვითარებული მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე.

1. გენდერული კვოტირების გაუქმება

2024 წლის 22 აპრილს ფრაქცია „გირჩმა" პარლამენტში დაარეგისტრირა კანონპროექტი, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ ორგანულ კანონში ცვლილებების შესახებ. კანონპროექტი გულისხმობს ამ აქტში 39[1]-ე მუხლით მოწესრიგებული ე.წ. „გენდერული კვოტირების" გაუქმებას.[1] გენდერული კვოტირების მიხედვით, პოლიტიკურმა პარტიამ საარჩევნო სიები ისე უნდა შეადგინოს, რომ ყოველ სამეულში ერთი მაინც განსხვავებული სქესის წარმომადგენელი იყოს. ამ წესის დაცვისას პარტიები მიიღებენ დანამატს სახელმწიფო დაფინანსებაზე.[2]

პარლამენტმა ცვლილებები დაჩქარებული წესით განიხილა, რაც, განმარტებითი ბარათის მიხედვით, განპირობებული იყო იმით, რომ მიმდინარე საარჩევნო წელს პარტიული საარჩევნო სიების დაკომპლექტება გახდებოდა საჭირო.[3] 4 აპრილს პარლამენტმა კანონპროექტი მესამე მოსმენით მიიღო.[4]

გადაწყვეტილების მიღებას წინ უსწრებდა გარიგება ფრაქციებს „გირჩსა" და „ქართულ ოცნებას" შორის, რომლის მიხედვითაც, გენდერული კვოტირების გაუქმების სანაცვლოდ, „გირჩი" „ქართულ ოცნებას" ცესკოში მისთვის სასურველი კანდიდატის არჩევაში დაეხმარებოდა.[5] როგორც კანონპროექტის ინიციატორებმა განაცხადეს, ეს კანონპროექტი ფრაქცია „ქართულ ოცნებასთან" „პოლიტიკური ვაჭრობის" კარგი მაგალითია.[6]

ოპოზიციის დეპუტატის თეონა აქუბარდიას თქმით, გენდერული კვოტების გაუქმება არჩევნებზე „ფულიანი მაჟორიტარების კარგ პოზიციაზე დაბინავებას ემსახურება".[7] სახალხო დამცველის მო-

---

[1] „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონის პროექტი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 22 მარტი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/pTUV4, განახლებულია: 13.05.2024.

[2] საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ", მუხლი 39[1], პუნქტი 1, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 45, 31.10.1997.

[3] საქართველოს ორგანული კანონის პროექტის განმარტებითი ბარათი საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილებების შეტანის თაობაზე, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 22 მარტი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/fhmMT, განახლებულია: 13.05.2024.

[4] „პარლამენტმა გენდერული კვოტირების გაუქმებასთან დაკავშირებით „საარჩევნო კოდექსში" ცვლილება მესამე მოსმენით მიიღო", საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 4 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/kltE7, განახლებულია: 13.05.2024.

[5] „პარლამენტმა გენდერული კვოტები გააუქმა", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2024 წლის 4 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/590176, განახლებულია: 13.05.2024.

[6] „პარლამენტმა გენდერული კვოტები გააუქმა", საინფორმაციო პორტალი On.ge, 04.04.2024, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/eiE57, განახლებულია: 13.05.2024.

[7] იქვე.

საზრებით, გენდერული კვოტირების გაუქმებით „უარესდება თანასწორობის მისაღწევად არსებული მექანიზმები“.[8]

2. პარტია „კონსერვატიული მოძრაობა - ალტ-ინფოს“ გაუქმება

2024 წლის 8 აპრილს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ პარტია „კონსერვატიული მოძრაობა - ალტ-ინფოს“ რეგისტრაცია გააუქმა. ამის მიზეზად პარტიის დოკუმენტაციის კანონთან შეუსაბამობა სახელდება.[9]

„კონსერვატიული მოძრაობა - ალტ-ინფო“ საჯარო რეესტრში პარტიად 2021 წელს დარეგისტრირდა.[10] რეგისტრაციის შესახებ განცხადებას ხელს არ აწერდნენ ხელმძღვანელი პირები, მათ შორის, გიორგი ქარდავა, რომელიც პარტიის გენერალურ მდივნად აირჩიეს. ამ მიზეზით, რეესტრმა განაცხადის განხილვა შეაჩერა და ხარვეზის გამოსწორება მოითხოვა. 2021 წლის 6 დეკემბერს პარტიამ წარმოადგინა კორექტირებული დოკუმენტაცია, მათ შორის, ყრილობის თავმჯდომარის, კონსტანტინე მორგოშიას მიერ ხელმოწერილი წესდება. ამის შემდეგ პარტია რეესტრში დაარეგისტრირეს.[11]

2024 წლის 3 აპრილს ანტიკორუფციულმა ბიურომ პარტიის დოკუმენტაციის ხარვეზებთან დაკავშირებით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიმართა, რომელმაც 8 აპრილს ბათილად ცნო პარტიის რეგისტრაციის თაობაზე 2021 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება.[12]

იუსტიციის მინისტრ რატი ბრეგვაძის თქმით, რეესტრმა წარმოება დაიწყო მამხილებლის განცხადებისა და ანტიკორუფციული ბიუროს მიმართვის საფუძველზე. ამასთანავე, „პარტიის გაუქმება მინისტრისთვის დასაშვებია“, წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონი ამას არ გაითვალისწინებდა.[13] პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, კონსტანტინე მორგოშიას 4 აპრილის ფეისბუქ-პოსტის მიხედვით, „ალტ-ინფომ“ 2024 წლის პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.[14] პარტიის მეორე ლიდერის ზურა მახარაძის თქმით, როდესაც ცესკოს თავმჯდომარეს არჩევნებში რეგისტრაციის აქტზე ხელი უნდა მოეწერა, საჯარო რეესტრმა პარტია სწორედ მაშინ გააუქმა.[15]

გაუქმების საპასუხოდ, პარტია „ალტ-ინფოს“ წევრებმა „ქართული ოცნების“ ოფისთან აქცია გამართეს, სადაც მიღებული გადაწყვეტილება და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა გააპროტესტეს. აქციის დროს მონაწილეებმა დაწვეს „ქართული ოცნების“ დროშებიც.[16] ამავე აქციის დროს ცნობილი გახდა, რომ ლევან ჩაჩუამ „ალტ-ინფოს“ აჩუქა რეგისტრირებული პარტია „ქართული იდეა“.[17] თუმცა, 23 აპრილს საჯარო რეესტრმა წარმოებაში მიიღო საჩივარი პარტიის დოკუმენტა-

---

[8] 9+ „სახალხო დამცველი უარყოფითად აფასებს გენდერული კვოტირების გაუქმების კანონპროექტს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 2 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/otKOP, განახლებულია: 13.05.2024.

[9] „საჯარო რეესტრმა „კონსერვატიული მოძრაობა - ალტ-ინფოს“ რეგისტრაცია გააუქმა“, საინფორმაციო პორტალი „1tv.ge“, 2024 წლის 8 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/cixz0, განახლებულია: 14.05.2024.

[10] იქვე

[11] „ალტ-ინფოს“ პარტია გაუქმებულია“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 8 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32896009.html, განახლებულია: 14.05.2024.

[12] იქვე.

[13] „ალტ-ინფოს გამქრალი პარტია და „სახიფათო პრეცედენტი” სხვებისთვის“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 10 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/emvzJ, განახლებულია: 14.05.2024.

[14] „საჯარო რეესტრმა ალტ-ინფოს პარტიის რეგისტრაცია გააუქმა“, საინფორმაციო პორტალი „ტაბულა“, 2024 წლის 8 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/rFOV7, განახლებულია: 14.05.2024.

[15] „ალტ-ინფოს“ პარტია გაუქმებულია“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 8 აპრილი.

[16] „ქართული ოცნების“ ოფისთან ალტ-ინფო საპროტესტო აქციას მართავს — აქციის მონაწილეები „ოცნების” დროშებს წვავენ“, საინფორმაციო პორტალი On.ge, 2024 წლის 13 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/cezT2, განახლებულია: 14.05.2024.

[17] „ალტ-ინფოს” პარტია აჩუქეს - კარგავს თუ არა „ოცნება” კონსერვატიულად განწყობილ მხარდამჭერებს“, საინფორმაციო პორტალი „რეზონანსი“, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/gyCDK, განახლებულია: 14.05.2024.

ციის ქართულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე. საჩივარზე გადაწყვეტილების მიღებამდე კი, ცესკო არ არის უფლებამოსილი, გააგრძელოს პარტიის რეგისტრაცია 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე.[18]

სხვადასხვაგვარ შეფასებებს გამოთქვამენ ექსპერტები და პოლიტიკოსები. „გირჩი - მეტი თავისუფლების“ ლიდერის ზურაბ გირჩი ჯაფარიძის თქმით, „ალტ-ინფოს“ გაუქმებით „ქართული ოცნება“ „პრორუსულ ველს ისუფთავებს“ და გაუქმების მოტივიც პოლიტიკურია.[19] პოლიტიკის ექსპერტ ირაკლი მელაშვილის აზრით, პარტიის გაუქმებით სახელმწიფომ კანონი დაარღვია. თუ პარტიის დოკუმენტაცია კანონთან შეუსაბამო იყო, მაშინ რეესტრს ის თავიდან უნდა დაერეგისტრირებინა. მელაშვილი აღნიშნავს, რომ პარტიის გაუქმების უფლება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს.[20] ამ საკითხს სახალხო დამცველი შეისწავლის.[21]

3. რუსთავში საკრებულოს თავმჯდომარე გადააყენეს

2024 წლის 24 აპრილს რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ თავმჯდომარეს ნოდარ შეროზიას უნდობლობა გამოუცხადა. აღსანიშნავია, რომ რუსთავის საკრებულო იმ მცირეთაგანია, რომელშიც უმრავლესობას ოპოზიციური პარტიები (პარტია „საქართველოსთვის“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) შეადგენენ. შესაბამისად, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ოპოზიციურმა კოალიციამ რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარედ ფრაქცია „საქართველოსთვის“ წევრი ნოდარ შეროზია აირჩია.[22] განსაკუთრებით დაძაბული იყო ურთიერთობა მუნიციპალურ ორგანოებს შორის, მით უფრო, იმის ფონზე, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობა და მერია სხვადასხვა პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მერიამ 2023 წლის ოქტომბერში საკრებულოს წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა და ის „მიზანმიმართულ საბოტაჟსა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის დარღვევაში“ დაადანაშაულა.[23] ამასთანავე, 2024 წლის 15 აპრილს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სამმა წევრმა ფრაქცია დატოვა.[24]

მას შემდეგ, რაც კოალიციამ უმრავლესობა დაკარგა, 2024 წლის 19 აპრილს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრებმა მოითხოვეს საკრებულოს თავმჯდომარის იმპიჩმენტი, ასევე, მისი მოადგილეებისა და კომისიის თავმჯდომარეების გადაყენება.[25] იმპიჩმენტის მიზეზად ინიციატორები ოპოზიციის მიერ თვითმმართველობის ორგანოს მუშაობის შეფერხების და ქალაქისთვის მნიშვნელოვანი პროექტების მიზანმიმართულად დაბლოკვის მცდელობას ასახელებდნენ.[26]

---

[18] „ალტ-ინფო აცხადებს, რომ საჯარო რეესტრმა მათი ახალი პარტიის, „ქართული იდეის” გაუქმების პროცესი დაიწყო“, საინფორმაციო პორტალი On.ge, 2024 წლის 26 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/hnrS2, განახლებულია: 14.05.2024.

[19] „ჯაფარიძე ალტ-ინფოზე: ბიძინა პრორუსულ ველს ისუფთავებს, რათა ხმების გაყოფა არ მოუწიოს“, საინფორმაციო პორტალი „ტაბულა“, 2024 წლის 8 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/rtOUV, განახლებულია: 14.05.2024.

[20] „ალტ-ინფოს გამქრალი პარტია და „სახიფათო პრეცედენტი” სხვებისთვის“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 10 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/bdlC8, განახლებულია: 14.05.2024.

[21] „ომბუდსმენი შეისწავლის „ალტ-ინფოს“ პარტიის გაუქმების გადაწყვეტილებას“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 9 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32897252.html, განახლებულია: 14.05.2024.

[22] „რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე ოპოზიციამ აირჩია“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 31 მარტი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/469921, განახლებულია: 15.05.2024.

[23] „რუსთავის მერია საკრებულოს წინააღმდეგ“, საინფორმაციო პორტალი „1tv.ge“, 2023 წლის 30 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/ehxBP, განახლებულია: 15.05.2024.

[24] „რუსთავის საკრებულოს სამმა წევრმა „ნაციონალური მოძრაობა“ დატოვა“, საინფორმაციო პორტალი „1tv.ge“, 2024 წლის 15 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/nANT2, განახლებულია: 15.05.2024.

[25] „რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის იმპიჩმენტის პროცედურა“, საინფორმაციო პორტალი „1tv.ge“, 2024 წლის 19 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/ostAY, განახლებულია: 15.05.2024.

[26] იქვე.

საბოლოოდ, 2024 წლის 24 აპრილს ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ“, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი წევრების დახმარებით, იმპიჩმენტისთვის საჭირო 18 ხმის მოგროვება შეძლო. შედეგად, საკრებულოს თავმჯდომარე თანამდებობიდან გადააყენეს.[27] პარტია „საქართველოსთვის“ განცხადებით, ეს ინციდენტი იყო „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თანამშრომლობის ნათელი მაგალითი.[28] საკრებულოს სხდომის შემდეგ პარტია „საქართველოსთვის“ წევრებისა და მხარდამჭერების აქცია გაიმართა, სადაც, მათი თქმით, იყო პროვოკაციების მოწყობის მცდელობები.[29]

4. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონის“ (ე.წ. „რუსული კანონის“) დაბრუნება

2024 წლის 3 აპრილს ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ“ ხელახლა დააინიციირა 2023 წელს მარტის აქციების შედეგად ჩაგდებული ე.წ. „რუსული კანონი“.[30] ეს მოხდა მმართველი გუნდის 2023 წლის დაპირების ფონზე, რომ ისინი ამ კანონს აღარ მიუბრუნდებოდნენ. კანონპროექტის შინაარსი არსებითად იგივეა. განსხვავებულია მხოლოდ ტერმინოლოგია - „უცხოური გავლენის აგენტი“ ახალ კანონში შეცვლილია „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციით“.[31] კანონის მიღების მოტივი კვლავ იგივეა. „ქართული ოცნების“ განმარტებით, არასამთავრობო ორგანიზაციები რჩებიან „საზოგადოების ყველაზე გაუმჭვირვალე სექტორად საქართველოში“,[32] კანონის მიზანი კი სწორედ მათი გამჭვირვალობის უზრუნველყოფაა.

„რუსული კანონის“ მიხედვით, თუ არასამთავრობო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი დაფინანსების 20%-ზე მეტს იღებს უცხოური ორგანიზაციიდან, ფონდიდან, დონორისგან,[33] იგი უნდა დარეგისტრირდეს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში და ყოველწლიურად, იანვარში, წარადგინოს ფინანსური დეკლარაცია.[34] ამის შემდეგ ის ავტომატურად მიიჩნევა უცხოური ქვეყნის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად. განსაკუთრებით სახიფათოა კანონის მე-8 მუხლი, რომელიც შესაბამის უწყებებს ანიჭებს უფლებამოსილებას, ორგანიზაციის მიმართ დაიწყოს მონიტორინგი, მათ შორის, იუსტიციის სამინისტროში წარდგენილი წერილობითი განცხადების საფუძველზე.[35]

კანონის ხელახლა წარდგენას მასშტაბური პროტესტი მოჰყვა არა მხოლოდ თბილისში, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებშიც. არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელმა, რომელიც 200-მდე ორგანიზაციას აერთიანებს, კანონის ინიციირების საპასუხოდ, პარლამენტთან თანამშრომლობის მემორანდუმი შეწყვიტა.[36] ორგანიზაციების აზრით, კანონი „სახელმწიფო ინტერესებთან, კულტუ-

---

[27] „რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე, პარტია „საქართველოსთვის“ წევრი, თანამდებობიდან გადააყენეს“, საინფორმაციო პორტალი „ტაბულა“, 2024 წლის 24 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/cABS9, განახლებულია: 15.05.2024.

[28] იქვე.

[29] „პარტია „საქართველოსთვის“ - რუსთაველებმა დღეს ნათლად დაინახეს „ქართული ოცნების“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ღია თანამშრომლობის თვალსაჩინო მაგალითი“, საინფორმაციო პორტალი „1tv.ge“, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/dgAKV, განახლებულია: 15.05.2024.

[30] „ქართული ოცნება“ „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონპროექტს ხელახლა აინიციირებს“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 3 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/589758, განახლებულია: 15.05.2024.

[31] იქვე.

[32] იქვე.

[33] საქართველოს კანონის პროექტი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, მუხლი 2, პუნქტი 1 (ა), საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 3 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/ABEJN, განახლებულია: 15.05.2024.

[34] იქვე, მუხლი 4, პუნქტი 3.

[35] იქვე, მუხლი 8, პუნქტი 1, 2.

[36] „არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი პარლამენტთან კანონპროექტზე თანამშრომლობას წყვეტს“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 4 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/590073, განახლებულია: 15.05.2024.

რასა და ქართულ ტრადიციებთან შეუთავსებელია“.[37]

„რუსული კანონს“ 4 აპრილს გამოეხმაურა შვიდი ოპოზიციური პარტია,[38] რომელთა აზრით, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონი“ „საქართველოს ევროპული გზის ღალატია“.[39] საპასუხოდ, ოპოზიციურმა პარტიამ „საქართველოსთვის“ და დეპუტატმა თეონა აქუბარდიამ დააინიციირეს კანონპროექტი „ოკუპანტი სახელმწიფოს – რუსეთის ფედერაციის გავლენებისგან დაცვის შესახებ“.[40] ეს კანონპროექტი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ყველა იმ ორგანიზაციის ან ადამიანის მიმართ, რომლებიც ოკუპანტი ქვეყნის - რუსეთის ინტერესებს წარმოადგენს ქვეყანაში და ამით ცდილობს კონსტიტუციით დადგენილი საგარეო კურსის ცვლილებას, ან ერევა ქვეყნის შიდა საქმეებში.[41]

„რუსული კანონის“ ხელახალმა ინიციირებამ გამოიწვია შეშფოთება ქვეყნის უცხოელ პარტნიორებშიც. ევროკავშირის, ნატოს, ევროსაბჭოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ცალკეული სახელმწიფოების თანამდებობის პირებმა, პოლიტიკოსებმა პირდაპირ გამოხატეს კანონისადმი ნეგატიური დამოკიდებულება და აღნიშნეს, რომ „რუსული კანონის“ მიღება ქვეყნის ევროატლანტიკურ გზაზე ხელის შემშლელი იქნება. მათი თქმით, კანონის არსებობის პირობებში საქართველოსთან ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების გახსნა გამორიცხულია.[42] ევროპის 12 სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა ერთობლივ განცხადებაში აღნიშნეს, რომ ეს კანონი ქართველი ხალხისა და მათი ევროპული მისწრაფებების წინააღმდეგ მიმართული „მტრული ნაბიჯია“.[43] ევროპაში აშშ-ის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიის (ე.წ. ჰელსინკის კომისიის) განცხადებით, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონმდებლობა „საქართველოს კანდიდატის სტატუსის თვითსაბოტაჟია“.[44]

გარდა ამისა, 8 აპრილს 400-ზე მეტმა არასამთავრობო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ერთობლივი განცხადება, რომელშიც ისინი ხელისუფლებას კანონპროექტის უკან გაწვევისკენ მოუწოდებდნენ.[45] მათი შეფასებით, კანონპროექტის მიღებას მწვავე საშინაო და საგარეო შედეგები ექნება.[46] ამასთანავე, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ხელისუფლების მოქმედ თანამდებობის პირებს შეახსენეს, რომ მრავალი წლის განმავლობაში ისინიც სხვადასხვა არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციაში იყვნენ დასაქმებულნი.[47]

---

[37] იქვე.

[38] „ახალი“, „გირჩი – მეტი თავისუფლება“, „დროა“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლელო საქართველოსთვის“, რესპუბლიკური პარტია და „სტრატეგია აღმაშენებელი“.

[39] „შვიდი ოპოზიციური პარტია „ქართული ოცნების“ მიერ „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონპროექტის ხელახალ ინიცირებას გმობს“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 5 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/590355, განახლებულია: 15.05.2024.

[40] „ოპოზიციონერი დეპუტატები რუსულ გავლენაზე კანონპროექტს აინიცირებენ“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 5 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/590451, განახლებულია: 15.05.2024.

[41] იქვე.

[42] „ევროკავშირი: „უცხოური აგენტების“ შესახებ კანონის ხელახალი ინიცირება „სერიოზულ შეშფოთებას“ იწვევს“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 4 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/590085, განახლებულია: 29.05.2024.

[43] „ევროპის 12 ქვეყნის საგარეო საქმეთა კომიტეტების თავმჯდომარეები: „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონპროექტი „მტრული ნაბიჯია“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 6 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/590554, განახლებულია: 15.05.2024.

[44] „ჰელსინკის კომისია: „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონმდებლობა საქართველოს კანდიდატის სტატუსის თვითსაბოტაჟია“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 6 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/590562, განახლებულია: 15.05.2024.

[45] „400-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონპროექტს გმობს“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 8 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/590777, განახლებულია: 15.05.2024.

[46] იქვე.

[47] „არასამთავრობოები „ოცნების“ ლიდერებს წარსულში საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობას ახსენებენ“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 8 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/590707, განახლებულია: 15.05.2024.

„რუსული კანონის“ ინიციირებისთანავე საქართველოში პერმანენტული საპროტესტო აქციები დაიწყო.[48] აქციების პარალელურად, 15 აპრილს გაიმართა კანონპროექტის პირველი საკომიტეტო მოსმენა, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც უმრავლესობის, ისე ოპოზიციისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები. განხილვის მიმდინარეობისას დეპუტატი ალეკო ელისაშვილი მომხსენებელ მამუკა მდინარაძეს ფიზიკურად გაუსწორდა.[49] აღსანიშნავია, რომ კომიტეტის სხდომიდან გააძევეს ზოგიერთი ოპოზიციონერი დეპუტატი.[50] საბოლოოდ, კომიტეტმა კანონპროექტს 15 აპრილს მხარი დაუჭირა პირველი მოსმენით.[51] მომდევნო დღეს, 17 აპრილს პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე კანონპროექტი პირველი მოსმენით მიიღო.[52]

საიას მოსაზრებით, ამ მოვლენების საწინააღმდეგო აქციებზე ხელისუფლებამ, ყოველგვარი ფაქტობრივი საფუძვლის გარეშე და საერთაშორისო სტანდარტების დარღვევით, გამოიყენა სპეციალური საშუალებები, მათ შორის, ე.წ. „წიწაკის სპრეი“ ახლო მანძილიდან, ცრემლსადენი გაზი, რის შედეგადაც, აქციის მონაწილეები დაშავდნენ.[53] ამასთანავე, პოლიციამ დემონსტრანტები ადმინისტრაციული წესით დააკავა. გავრცელებული ინფორმაციით, რამდენიმე დაკავებული ნაცემიც იყო.[54] საქართველოს სახალხო დამცველი და არასამთავრობო ორგანიზაციები ხელისუფლებას მოუწოდებდნენ, აქციის დაშლისას დაეცვათ შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტები.[55] ამის მიუხედავად, დემონსტრაციებზე გამოვლინდა სპეცრაზმის მიერ აქციის მონაწილეების მიმართ ფიზიკური ძალადობის, ცემისა და სასტიკი მოპყრობის შემთხვევები.[56]

28 აპრილს გაიმართა ევროპის მარში, სადაც საქართველოს მოქალაქეებმა კანონის მეორე საკომიტეტო მოსმენის წინ კიდევ ერთხელ გამოხატეს თავიანთი პოზიცია რუსული კანონის წინააღმდეგ.[57] 29 აპრილს იურიდიულმა კომიტეტმა კანონს მეორე მოსმენით მხარი დაუჭირა. თუმცა, კომიტეტის თავმჯდომარეს ანრი ოხანაშვილს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები „ოპოზიციის გასაჩუმებლად“ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ადანაშაულებენ.[58]

---

[48] „ფოტოამბავი: „კი ევროპას, არა რუსულ კანონს“ – აქცია „უცხოელი აგენტების“ კანონპროექტის წინააღმდეგ“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 10 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/591132, განახლებულია: 29.05.2024.

[49] „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონპროექტის საკომიტეტო მოსმენის დროს ჩხუბი მოხდა“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 15 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/592094, განახლებულია: 15.05.2024.

[50] „პროტესტის ფონზე იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონპროექტს მხარი დაუჭირა“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 15 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/592129, განახლებულია: 15.05.2024.

[51] იქვე.

[52] „პარლამენტმა „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონპროექტი პირველი მოსმენით მიიღო“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 17 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/599530, განახლებულია: 15.05.2024.

[53] „საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ისევ გრძელდება რუსული კანონის წინააღმდეგ მშვიდობიანი დემონსტრაციის რეპრესიული მეთოდებით დაშლის მცდელობა, რაც მიზნად ისახავს გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების მუხტის შესუსტებას“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2024 წლის 16 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/hz7O7, განახლებულია: 29.05.2024.

[54] იქვე.

[55] „სახალხო დამცველის განცხადება მიმდინარე აქციაზე სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფორმებთან დაკავშირებით“, საქართველოს სახალხო დამცველი, 2024 წლის 14 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/rE49W, განახლებულია: 29.05.2024.

[56] იქვე.

[57] „ფოტოამბავი | ევროპული მარში რუსული კანონის წინააღმდეგ“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 28 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/602048, განახლებულია: 15.05.2024.

[58] „არასამთავრობოები ანრი ოხანაშვილს ოპოზიციის გასაჩუმებლად უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ადანაშაულებენ“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 29 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/602278, განახლებულია: 15.05.2024.

საპროტესტო აქციების საპასუხოდ, „ქართულმა ოცნებამ“ 29 აპრილს „რუსული კანონის“ მხარდასაჭერი აქცია გამართა, რისთვისაც მან ხალხი რეგიონებიდან ჩამოიყვანა.[59] აქციაზე პოლიტიკოსების მხრიდან ისმოდა კონსპირაციული, ანტიდასავლური და სუვერენისტული რიტორიკა.[60]

5. საგადასახადო დავალიანებების ჩამოწერა არჩევნების წინ

8 აპრილს პრემიერ-მინისტრმა კობახიძემ მთავრობის სხდომაზე საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა დააანონსა.[61] როგორც ფინანსთა მინისტრმა დააზუსტა, ეს შეეხება დაახლოებით 145 ათას პირს, რომლებსაც 2021 წლამდე არსებული დავალიანება ჩამოეწერებათ. ეს თანხა, ჯამში, 590 მილიონ ლარს შეადგენს.[62] შეღავათის მიზეზად დავალიანების ხანდაზმულობა დასახელდა.[63]

[59] „ქართული ოცნების“ ლიდერები ანტიდასავლურ, სუვერენისტულ, კონსპიროლოგიურ რიტორიკას ამძაფრებენ“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 30 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/602419, განახლებულია 15.05.2024.

[60] იქვე.

[61] „პრემიერ-მინისტრი არჩევნების წინ საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის გადაწყვეტილებას აანონსებს“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 8 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/590745, განახლებულია: 15.05.2024.

[62] „ფინანსთა მინისტრის განცხადებით, საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა 145 ათას პირს შეეხება, დავალიანების ჯამური ოდენობა კი 590 მილიონ ლარს შეადგენს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2024 წლის 8 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/ILS01, განახლებულია: 15.05.2024.

[63] იქვე.